მდგრადი განვითრება და მისი შეფასების სტატისტიკური ინდიკატორები

ნაირა ვირსალაძე

ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლი სახელმწიფო უნივერსიტეტი

მალვინა ყიფიანი

ასოცირებული პროფესორი, ქუთაისის უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საუკუნეების მანძილზე ადამიანები გარე სამყაროს და მასში არსებულ ბუნებრივ რესურსებს თავიანთ საკეთილდღეოდ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იყენებდნენ. ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვნად დააზარალა გარემო, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია, როცა მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებმი ისეთ ნიშნულამდე მივიდა, რომ მათ შემდგომ მატებას შესაძლოა, კაცობრიობა რესურსული უკმარისობის პრობლემისა და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დაეყენებინა, მსოფლიო ალაპარაკდა საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მდგრადი განვითარების ცნებამ ფართო აღიარება გასული საუკუნის 80-იან წლების ბოლოს ჰპოვა, 1987 წელს, გარემოს და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში ,,ჩვენი საერთო მომავალი''. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მდგრადი განვითარების საკითხებისადმი ყურადღება კიდევ უფრო გააქტიურდა. მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგისათვის გამოიყენება გლობალური SDG ინდექსი, რომელიც გაიანგარიშება გაეროს, მსოფლიო ბანკის და სხვა ინსტიტუტების ოფიციალური მონაცემების, ასევე კვლევითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით. სტატისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში. ვინაიდან მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური მონიტორინგისათვის საჭიროა ზუსტი, სრულყოფილი და დროული სტატისტიკური მონაცემები. მდგრადი განვითარების მიზნები პირდაპირ უსვამს ხაზს ქვეყნების მიერ სანდო მონაცემებისა და სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას, მოუწოდებს ქვეყნებს გააძლიერონ თავიანთი სტატისტიკური შესაძლებლობები, ვინაიდან სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემები აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პროგრესის შესაფასებლად. ამდენად, მდგრადი განვითარები მიზნების გლობალურ დონეზე შესასრულებლად საჭიროა ამ პროცესში თითოეული სახელმწიფოს ჩართულობის გაძლიერება, ხოლო

ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს სამთავრობო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევა. ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვანახა, რომ არც ერთ ქვეყანას არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მდგრადი განვითარების გლობალურ გამოწვევებს.

საკვანძო სიტყვები: რესურსული უკმარისობა, მდგრადი განვითარება, სტატისტიკური ინდიკატორები, HDI ინდექსი, SDG ინდექსი

JEL: C10; Q01

DOI: 10.52244/c.2024.11.32

კაცობრიობა მრავალი რთული პრობლემის და გამოწვევის წინაშე დგას, რომელთა დაჯგუფება ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება: პრობლემები, რომლებიც საზოგადოების აზროვნებისა და მისი საქმიანობის განვითარების კანონზომიერი შედეგია და პრობლემები, რომლებიც საერთოდ არ არის დაკავშირებული ადამიანის საქმიანობასთან და ბუნების მოქმედების კანონზომიერებებში შედის. გარე სამყაროსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა და მისი რაციონალური გამოყენება ორივე პრობლემის ფონზე უნდა განვიხილოთ. ეს საკითხი დღესდღეობით იმდენად მნიშვნელოვანი და თანაც გლობალურია, რომ მსოფლიოში პრაქტიკულად არ არსებობს ქვეყანა, რომელიც რაიმე ღონისძიებით მაინც არ ცდილობდეს აღნიშნული პრობლემის გადაჭრას.

ცნობილია, რომ საუკუნეების მანძილზე ადამიანები გარე სამყაროს და მასში არსებულ ბუნებრივ რესურსებს თავიანთ საკეთილდღეოდ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იყენებდნენ. ასეთმა მიდგომამ მნიშვნელოვნად დააზარალა გარემო, რაც განსაკუთრებით საგრძნობი გახდა ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში.

გარემოზე ეკონომიკური საქმიანობის მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების შესახებ ჯერ კიდევ XVIII საუკუნის შუა ხანებში გვაფრთხილებდა ცნობილი ფრანგი ფიზიოკრატი ფრანსუა კენე (1694-1774). იგი ცდილობდა შეემუშავებინა გარემოზე უარყოფითად მოქმედი მაკროეკონომიკური ნაკადების შეფასების მეთოდები. თუმცა ფიზიოკრატების შემდეგ ეს საკითხი პრაქტიკულად მივიწყებულ იქნა. მთელი ყურადღება გადატანილ იყო ეკონომიკურ ზრდაზე და ეკონომიკის ფუნქციონირების ანალიზზე. მხოლოდ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ უმაღლეს ზღვარს მიაღწია, როცა მსოფლიო მოსახლეობის რიცხოვნობისა და ეკონომიკური ზრდის ტემპებმი ისეთ ნიშნულამდე მივიდა, რომ მათ შემდგომ მატებას შესაძლოა, კაცობრიობა რესურსული უკმარისობის პრობლემისა და ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე დაეყენებინა, მსოფლიო ალაპარაკდა საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემის შექმნაზე, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფდა ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ამდენად, გარე სამყაროსა და წარმოებით ურთიერთობების ფონზე გამოკვეთილმა მსოფლიო გლობალურმა პრობლემებმა საბოლოო ჯამში ასახვა ჰპოვა მდგრადი განვითარების კონცეფციაში. მდგრადი განვითარების ძირითადი მიზნები კი გაერთიანდა ეკონომიკური განვითარების, სოციალური კეთილდღეობისა და გარემოს დაცვით ღონისძიებებში. თუმცა უნდა ითქვას, რომ მდგრადი განვითარების მთავარ საყრდენს

გარემო წარმოადგენს, გარემოში არსებული ბუნებრივი რესურსები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორი. მასში მიმდინარე პროცესები კი პირდაპირ უკავშირდება ადამიანების კეთილდღეობას.

დღეს რესურსების ამოწურვის საფრთხე, ჰაერის დაბინძურების მაღალი დონე და კლიმატური ცვლილებები, ის გლობალური პრობლემებია, რომლის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს თითოეულმა ქვეყანამ. ხვალინდელ დღეზე, მომავალი თაობების ჯანმრთელობასა და კეთილდღეებაზე ზრუნვა უნდა გახდეს ნებისმიერი ქვეყნის ამოცანა. სწორედ მდგრადი განვითარება პასუხობს დღევანდელ მოთხოვნილებებს იმგვარად, რომ მომავალ თაობებს შეუნარჩუნოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა. გაეროს განმარტებით - „მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლანდელი თაობების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა ისე, რომ არ დააზარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მემკვიდრეობით დაუტოვებს.'' (საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ", 1996 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 4).

აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების იდეა სათავეს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1972 წლის სტოკჰოლმის კონფერენციაზე აღნიშნულ იქნა, რომ შესაძლებელია ეკონომიკური განვითარება და ინდუსტრიალიზაცია გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე. მდგრადი განვითარების ცნებამ ფართო აღიარება 80-იან წლების ბოლოს ჰპოვა, კერძოდ კი 1987 წელს, როდესაც გარემოს და განვითარების მსოფლიო კომისიის მიერ გამოქვეყნდა ანგარიში ,,ჩვენი საერთო მომავალი''. ეს ანგარიში იყო მოწოდება მსოფლიოსათვის რომ გაეანალიზებინათ ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დეგრადირების შედეგების ზემოქმედება ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და გადაეხედათ არსებული განვითარების ტენდენციებზე. ანგარიშში მდგრადი განვითარების დეფინიცია ასე იყო ჩამოყალიბებული: ,, განვითარების ისეთ პროცესს, რომელიც უზრუნველყოფს აწმყოს მოთხოვნილებებს, ისე, რომ არ შეიზღუდოს მომავალი თაობის შესაძლებლობა თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად''. მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა 1992 წელს გაერთიანებული ერების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ბრაზილიის ქალაქ რიო დე ჟანეიროში. ეს იყო დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის, რომელიც მოიცავდა გასატარებელ ღონისძიებებს ეკონომიკისა და სოციალურ და ასევე, ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მართვის სფეროში, რათა მიღწეულ ყოფილიყო ყოველი მოსახლისათვის ცხოვრების გაუმჯობესებული სტანდარტები, ეკოსისტემის უკეთ დაცვა და უსაფრთხო და წარმატებული მომავალი.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიოს მდგრადი განვითარების საკითხებისადმი ყურადღება კიდევ უფრო გააქტიურდა. 2015 წელს გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია ,,ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის'', რომელიც გასულ ათასწლეულში ამ მიმართულებით შეუსრულებელი ამოცანების განხორციელებას ისახავს მიზნად, კიდევ უფრო ფართო და ამბიციურ გამოწვევებს გვთავაზობს. მდგრადი განვითარების სამიზნე ამჯერად არის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ფართო სპექტრი, მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობა. რეზოლუციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მდგრადი განვითარების მიზნები და ამ მიზნების შესრულების შეფასების ინდიკატორები.

მდგრადი განვითარების 2015 წლის რეზოლუციის გლობალურ მოწოდებას - „მსოფლიოში ყველა ადამიანისთვის მშვიდობისა და კეთილდღეობის შექმნა", შეუერთდა

საქართველო. მოხდა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის პროცესი და რეზოლუციის 17-ვე მიზანი ეროვნულ პრიორიტეტად გამოცხადდა, პროცესის ეფექტურად და გამჭვირვალედ მონიტორინგის მიზნით კი, ეროვნულ დონეზე, შემუშავდა 202 ინდიკატორი (მდგრადი განვითარების ანგარიში..., 2021: გვ.4)

მსოფლიო მასშტაბით მდგრადი განვითარების მიზნების მონიტორინგისათვის გამოიყენება გლობალური SDG ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მონაცემების კრებულს. ინდექსის გაანგარიშება ხდება გაეროს, მსოფლიო ბანკის და სხვა ინსტიტუტების ოფიციალური მონაცემების, ასევე კვლევითი ინსტიტუტების და არასამთავრობო ორგანიზაციების არაოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით.

შერჩეული ინდიკატორების საფუძველზე მდგრადი განვითარების მიზნების გლობალურად შესრულების ხარისხის შეფასება მოხდა 2021 წელს, კემბრიჯის უნივერსიტერტის მხარდაჭერით. შეფასების ანგარიშმა აჩვენა, რომ 2015-2019 წლებში მდგრადი განვითარების (SDG) ინდექსის გლობალური საშუალო მაჩვენებელი მზარდი დინამიკით ხასიათდებოდა (64% დან 65,8%-მდე გაიზარდა), ხოლო 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 0,2 ერთეულით შემცირდა და 65,6 % შეადგინა. აღნიშნული კლება პანდემიის შედეგად გაზრდილი სიღარიბის და უმუშევრობის გამოძახილია. მოგეხსენებათ, პანდემიამ უარყოფითად იმოქმედა თითქმის ყველა სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვით მიმართულებებზე. პანდემიის პეიოდში განსაკუთრებით დაზარალდა ღარიბი ქვეყნები და მათ შორის საქართველო.

რაც შეეხება ცალკეული ქვეყნის რეიტინგს, მდგრადი განვითარების 17-ვე მიზნის შესრულება დგინდება მათი ჯამური ქულით და ზომავს ქვეყნის ერთიან პროგრესს მდგრადი განვითარების მიხედვით. 100 ქულა მიუთითებს იმაზე, რომ მდგრადი განვითარების ყველა მიზანი მიღწეულია.

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაში საქართველო 165 ქვეყნიდან 56-ე ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ მდგრადი განვითარების ეროვნული მიზნების ეფექტურად და გამჭირვალედ მონირტორინგში ჩართულია თითქმის ყველა სამთავრობო უწყება, საქართველოში არსებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სააგენტოები და სამოქალაქო საზოგადოება, მათი უწყვეტი ძალისხმევისა, ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშეა ისეთი მიმართულებით, როგორიცაა სიღარიბე, შიმშილი, გენდერული თანასწორობა, ეკონომიკური უთანასწორობა და ეკოლოგიური მდგომარეობა. მსოფლიო რეიტინგში საქართველო ისეთი ქვეყნების დაბლა დგას, როგორიცაა ბელორუსი, უკრაინა, მოლდოვა და აზერბაიჯანი, ხოლო ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) 37 ქვეყნიდან იგი მხოლოდ თურქეთს, მექსიკას და კოლუმბიას უსწრებს (მდგრადი განვითარების ანგარიში..., 2021: გვ 6).

როგორც ვიცით, მდგრადი განვითარების ყურადღების ცენტრში ადამიანები არიან მოქცეული. შესაბამისად, მდგრადი განვითარების მიზნები კორელაციურ კავშირშია ადამიანურ განვითარებასთან და მისი შეფასების ძირითად ინდიკატორთან - ადამიანური განვითარების ინდექსთან (HDI). აღნიშნული ინდექსი კომპლექსურად ასახავს ადამიანის განვითარებას: ეკონომიკური განვითარების, სოციალური ჩართულობისა და გარემოს მდგრადობის მიხედვით. გამომდინარე აქედან, მდგრადი განვითარებების მიზნების მონიტორინგში გამოიყენება ადამიანური განვითარების ინდექსი, რომლიც აფასებს ადამიანური განვითარების დონეს ქვეყანაში და განსაზღვრავს მის ადგილს ქვეყანათა ჯგუფში.

საქართველოს HDI ინდექსის დინამიკა მზარდია. 2000 - 2022 წლებში იგი 17.3 პროცენტით (ანუ 0,694-დან 0,814-მდე) გაიზარდა და რეიტინგების მიხედვით ზედიზედ მესამედ ,,ძალიან მაღალი ადამიანური განვითარების'' ქვეყნების კატეგორიაშია მოხვდა (193 ქვეყნიდან საქართველო 60-ე პოზიცია უჭირავს). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ HDI - ის შემადგენელი კომპონენტების ნომინალური მაჩვენებლები სათანადოდ ვერ ასახავენ მათ რეალურ შინაარსს. ინდექსის ზრდადი მაჩვენებლის უკან იმალება სერიოზული უთანასწორობა ქვეყნებს შორის განვითარების დონეების და გენდერული ნიშნის მიხედვით. მართალია ინდექსის მიხედვით მაღალია საქართველოს განათლებისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები, თუმცა, რეალურად, განათლებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად პრობლემატურია განათლების ხარისხთან შედარებით. რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მართალია HDI მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს, როგორც ცხოვრების დონის, ისე მდგრადი განვითარების გარკვეული მიზნების შესრულებაზე კონტროლის თვალსაზრისით, მაგრამ მას გააჩნია მთელი რიგი ხარვეზები მიღწეული შედეგების ყოველმრივ და დეტალურ ანალიზში, როგორც შემადგენელი კომპონენტების ცვლადების განსაზღვრის და გამოთვლის, ასევე მონაცემთა ბაზის ხარისხის თვალსაზრისით.

როდესაც საუბარია ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებაზე და მისი შეფასების კრიტერიუმებზე, ცხადია, რომ სტატისტიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ პროცესში. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ დაბალშემოსავლიან ქვეყნებს და მათ სტატისტიკურ სამსახურებს, როგორიც საქართველოა. მდგრადი განვითარების მიზნების ეფექტური მონიტორინგისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა ზუსტი, სრულყოფილი და დროული სტატისტიკური მონაცემები. დაბალშემოსავლიან ქვეყანაში ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების დაგვიანებული განახლება და სხვა არსებული ხარვეზები ხაზს უსვამს სტატისტიკური შესაძლებლობების გაძლიერების აუცილებლობას და ამ მიზნით დამატებითი ინვესტიციების მოზიდვისა და ახალი მიდგომების საჭიროებას.

მდგრადი განვითარების მიზნები პირდაპირ და მკაფიოდ უსვამს ხაზს ქვეყნების მიერ სანდო მონაცემებისა და სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას, მოუწოდებს ქვეყნებს გააძლიერონ თავიანთი სტატისტიკური შესაძლებლობები, ვინაიდან სანდო, დროული და სრულყოფილი მონაცემების ხელმისაწვდომობა აუცილებელია პოლიტიკოსებისთვის ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პროგრესის შესაფასებლად.

ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ მდგრადი განვითარები მიზნების გლობალურ დონეზე შესასრულებლად საჭიროა ამ პროცესში თითოეული სახელმწიფოს ჩართულობის გაძლიერება, ხოლო ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს სამთავრობო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევა.

ამრიგად, მდგრადი გავითარების ცნება თანამედროვე საზოგადოების წამყვან იდეად იქცა. ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა ნათლად დაგვანახა, რომ არც ერთ ქვეყანას (მით უმეტეს პატარას და ეკონომიკურად სუსტს) არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს მდგრადი განვითარების გლობალურ გამოწვევებს, როგორიცაა პანდემია, კლიმატის ცვლილება და ა. შ. გლობალური პრობლემები საჭიროებენ მზადყოფნის გაძლიერებას და ქვეყნების კოორდინირებულ მოქმედებას, თანამშრომლობითი (მულტილატერალური) სისტემის ეფექტურად მუშაობის ხელშეწყობას. მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს სტატისტიკურმა ორგანოებმა. ვინაიდან, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების მონიტორინგისათვის მნიშვნელოვანია როგორც

დროული და ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაცია, ისე შედეგების შეფასებისათვის საჭირო სტატისტიკური მეთოდოლოგიის განუხრელი სრულყოფა.

გამოყენებული ლიტერატურა:

The 2023/24 Human Development Report will be launched on 13 March, 2024

ზარათაშვილი ე., მახარაშვილი-ზარათაშვილი ი., ზარანდია ჯ., მდგრადი განვითარების საკითხისათვის თსუ- კონფერენციის მასალები URL: https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&arq=1

მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები, SDGResults-GEO.pdf

საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, 1996 წლის 10 დეკემბერი, მუხლი 4

Key Aspects of Statistic Indicators for Evaluation of Sustainable Development

Naira Virsaladze
Associate Professor, Akaki Tsereteli State University

Malvina Kifiani
Associate Professor, Kutaisi University

Abstract

For centuries, people have used the outside world and its natural resources for their own benefit without any restrictions. Such an approach significantly harmed the environment, which became especially noticeable in the era of industrialization. Only from the second half of the 20th century, when the use of natural resources reached its highest limit, when the rates of world population and economic growth reached such a level that their further increase could put humanity in the face of the problem of resource shortage and ecological disaster, the world talked about creating such a system of social development, which would ensure prosperity of the human taking into account the interests of the economic development and environmental protection of the society, the increase in the quality of life and the right of future generations to benefit from the natural resources and environment protected as much as possible from irreversible quantitative and qualitative changes. The issue is so important and at the same time global that there is practically no country in the world that does not at least try to solve the mentioned problem by some measure. The concept of sustainable development gained wide recognition in the late 80s, in 1987, the report "Our Common Future" was published by the World Commission on Environment and Development. This report was a call to the world to analyze the effects of natural resource and environmental degradation on economic and social development. At the beginning of the 21st century, attention to the issues of sustainable development of the world became even more active. The Global SDG Index, which is a collection of data, is used to monitor the sustainable development goals worldwide. The index is calculated based on official data of the UN, World Bank and other institutions, as well as unofficial sources of research institutes and non-governmental organizations. Statistics play an important role in this process. This is especially true for low-income countries and their statistical services, such as Georgia. Accurate, complete and timely statistical data is first of all necessary for effective monitoring of sustainable development goals. Delayed updating of official statistical data and other existing gaps in low-income countries highlight the need to strengthen

statistical capacity and attract additional investments and introduce new approaches. The goals of sustainable development directly and clearly emphasize the importance of countries producing reliable data and statistics, calling on countries to strengthen their statistical capacity, as access to reliable, timely and comprehensive data is essential for politicians to make informed decisions and assess progress. In general, it can be said that in order to fulfill the goals of sustainable development at the global level, it is necessary to strengthen the involvement of each state in this process, and at the national level, the united efforts of the government institutions of the state and civil society are needed. The concept of sustainable development has become a leading idea of modern society. Recent world processes have clearly shown us that no country (especially a small and economically weak one) will be able to independently cope with the global challenges of sustainable development.

Keywords: Resource insufficiency, sustainable development, statistical indicators, HDI index, SDG index.

JEL: C10; Q01

DOI: 10.52244/c.2024.11.32

References

Baratashvili E., Makharashvili- Baratashvili I., Zarandia J. For the issue of sustainable development. URL: https://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=0&cat=arq&leng=ge&arq=1

Law of Georgia "Environmental Protection", December 10, 1996, Article 4

Sustainable Development Report 2021: Overview and Results for Georgia, SDG Results-GEO.pdf

The 2023/24 Human Development Report will be launched on 13 March, 2024